საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს განცხადება საბჭოს შემადგენლობის განახლების თაობაზე

შესავალი

საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭო ჩამოყალიბდა 2003 წელს საქართველოს მთავრობის და სხვა შესაბამისი და დაინტერესებული პირების მიერ გლობალური ფონდის საგრანტო სახსრების მიღების, აღნიშნული სახსრების ეროვნული რეაგირების ფარგლებში სათანადო კოორდინირების და გრანტების რეალიზაციის ეროვნული კონტროლისა და მფლობელობის უზრუნველყოფის მიზნით. საბჭო წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგიანობისა და მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილ კოლეგიურ ორგანოს – ამ სფეროში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელების პროცესში საჯარო და კერძო პარტნიორობის მექანიზმს ეროვნულ დონეზე. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და საქართველოს მთავრობის №220 2012 წლის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა ქვეყნის ერთიანი საკოორდინაციო საბჭოს დებულების შესაბამისად და ასრულებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობის მიერ დაკისრებულ ამოცანებს. საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი პასუხისმგებლობაა მისი სტატუსისა და ფუნქციონირების მონიტორინგი იმის დასადასტურებლად, რომ ის აკმაყოფილებს გლობალური ფონდის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მინიმალურ სტანდარტებს. ის, ასევე, ყოველგვარ შესაძლო ზომას მიიღებს გლობალური ფონდის რეკომენდაციების და საბჭოს დირექტივების განხორციელებისთვის.

საბჭოს შემადგენლობა

საბჭოს შემადგენლობაში ერთიანდება 30-მდე წევრი, რომლებიც წარმოდგენილნი არიან სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებიდან და ასევე დონორი ორგანიზაციებიდან. საბჭოში სამთავრებო სექტორისთვის გათვალისწინებულია 12 ადგილი, 4 ადგილი ეთმობა მულტილატერალურ და ბილატერალურ დონორებს. 14 ადგილი გათვალისწინებულია სამოქალაქო სექტორისთვის.

გლობალური ფონდის მოთხოვნებისა და საბჭოს მმართველობის სახელმძღვანელოს შესაბამისად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლობა ნაწილდება შემდეგნაირად:

სამი არასამთავრობო ორგანიზაცია აივ/შიდსის სფეროში მოღვაწეობის გამოცდილებით (როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი)-3 წარმომადგენელი

აივ პოზიტიური პირი-1 წარმომადგენელი

აივ/შიდსით დაზარალებული ჯგუფები, კერძოდ:

- ინექციური ნარკომომხმარებლები-1 წარმომადგენელი

- მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სექსი მამაკაცებთან (MSM)-1 წარმომადგენელი
- სხვა აივ/შიდსით დაზარალებული ჯგუფი- 1 წარმომადგენელი

ორი არასამთავრობო ორგანიზაცია ტუბერკულოზის სფეროში მოღვაწეობის გამოცდილებით (როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი)-2 წარმომადგენელი
პირი, რომელსაც ამჟამად აქვს ან გადაიტანა ტუბერკულოზი-1 წარმომადგენელი
ტუბერკულოზით დაზარალებული ჯგუფები -1 წარმომადგენელი
სამოქალაქო სექტორის სახელით საბჭოში ასევე მუშაობენ რელიგიური (1 წევრი), აკადემიური (1 წევრი) ორგანიზაციების და კერძო სექტორის (1 წევრი) წარმომადგენლები.

საბჭოს შემადგენლობის განახლების მიზნით საბჭო იწვევს ტუბერკულოზის სფეროში მოღვაწე დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას და აივ/შიდსით დაზარალებულ ჯგუფებს გამოხატონ საბჭოში მუშაობის ინტერესი და წარმოადგინონ თავიანთი კანდიდატი საბჭოში გასაწევრიანებლად. მოწვევა შეეხება შემდეგ პოზიციებს:

- ტბ სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაცია (როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი) - 1 წევრი
- აივ/შიდსით დაზარალებული ჯგუფები:
  MSM-1 წევრი;
  აივ/შიდსით სხვა დაზარალებული ჯგუფი - 1 წევრი

თითოეული „წარმომადგენლობისთვის“ (Constituency) საბჭოში დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტით მხოლოდ ერთი წევრის მუშაობა. თითოეული დაზარალებული ჯგუფის განიხილება, როგორც ცალკე წარმომადგენლობა.
ორგანიზაციამ საბჭოში გაწევრიანებისთვის დასაშვებია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი კანდიტატი.

საბჭოს წევრის ფუნქციები და უფლება მოვალეობების დეტალური აღწერა გთხოვთ იხილოთ მმართველობის სახელმძღვანელოში, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
https://www.georgia-ccm.ge/wp-content/uploads/F-ENG-G-CCM-Governance-Manual_REVISED-_-MARCH-21.pdf
https://www.georgia-ccm.ge/wp-content/uploads/GEO-Georgia-CCM-Governance-Manual_REVISED_-MARCH-21.pdf
ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს დებულება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
https://www.georgia-ccm.ge/wp-content/uploads/5-CCM-ToR-Eng.pdf
https://www.georgia-ccm.ge/wp-content/uploads/CCM-Decree-2012.pdf

საბჭოს წევრების შერჩევის პროცედურა

საბჭო წევრობის მიზნით განიხილავს იმ პირთა კანდიდატურებს, რომლებიც შეირჩევა მათივე „წარმომადგენლობის“ (Constituency) მიერ გამჭვირვალე და კარგად დოკუმენტირებული პროცესის საფუძველზე.
(ა) ტუბერკულოზის სფეროში მომუშავე არასამთვარობო ორგანიზაციის საბჭოში წევრის სტატუსით მიღებისას საბჭო იხელმძღვანელებს შემდეგი კრიტერიუმებით:

1. აივ/შიდსის და ტუბერკულოზის არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის სავალდებულოა შესაბამისად აივ/შიდსის და ტუბერკულოზის სფეროში მუშაობის, სულ მცირე, სამი წლის გამოცდილება. გათვალისწინებული იქნება, როგორც ინსტიტუციური, ასევე წევრობის კანდიდატის ინდივიდუალური გამოცდილება.
2. ორგანიზაცია გეგმავს მუშაობის გაგრძელებას (და გააჩნია ამისთვის საჭირო რესურსი) შესაბამისად აივ/შიდსის და ტუბერკულოზის სფეროებში მომდევნო ორი წლის მანძილზე.
3. სასურველია მუშაობის გამოცდილება საერთაშორისო დონორული დაფინანსებით მიმდინარე ადგილობრივ და რეგიონულ პროექტებში
4. არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, რაც აღმოცენდება იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაცია არის ან შესაძლოა მომავალში გახდეს გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში დაფინანსების მიმღები.

შენიშვნა: თითოეული „წარმომადგენლობისთვის“ საბჭოში დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტით მხოლოდ ერთი წევრის მუშაობა.

საბჭო არ განიხილავს არასამთავრობო ორგანიზაციების ინდივიდუალურ განცხადებებს წევრობის თაობაზე. საბჭოში გაწევრიანების მიზნით საბჭო განიხილავს იმ კანდიდატურებს, რომლებიც ამ „წარმომადგნელობების“ მიერ შეირჩევიან ღია, გამჭვირვალე და კარგად დოკუმენტირებული პროცესის საფუძველზე. განცხადებასთან ერთად ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს დეტალური აღწერილობა იმისა, თუ როგორ მოხდა მისი შერჩევა საბჭოში წარსადგენად და რომელი არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით იმუშავებს ის საბჭოში. თანდართული დოკუმენტაცია, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს, შერჩევის კრიტერიუმებს, წევრის სამუშაო აღწერილობას, დეტალურ სამუშაო გეგმას, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული „წარმომადგენლობას“ და საბჭოს შორის უწყვეტი უკუკავშირის უზრუნველყოფის მექანიზმი, წარდგენილი კანდიდატის ძირითადი დავალებები და საკომუნიკაციო ვალდებულებები „წარმომადგენლობასთან“ მიმართებაში. ნომინირებული წევრის მიერ არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში წარმომადგენლობიდან მისი სხვა წევრით ჩანაცვლების მექანიზმი,

თანდართული დოკუმენტაციის ნუსხა მოცემულია განაცხადის ფორმაში.
.

(ბ) აივ/შიდსით დაზარალებული მხარეების შერჩევისას საბჭო იხელმძღვანელებს შემდეგი კრიტერიუმებით:

1. საბჭოს წევრობის კანდიდატი წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთს:
    - მსმ თემის წარმომადგენლობა
    - აივ/შიდსით დაზარალებული ჯგუფი (სხვა)- ეს შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ ერთდროულად რამდენიმე დაზარალებულ ჯგუფთან (მ.შ. კომერციული სექს მუშაკები, ყოფილი პატიმრები, აივ/პოზიტიური პირების ოჯახები).
2. წევრობის კანდიდატი ორგანიზაციულად დაკავშირებულია აივ/შიდსით დაზარალებულ მხარეებთან და წარმოადგენს შესაბამისი თემის ინტერესებს.

3. კანდიდატის განცხადებას თან ერთვის შერჩევის დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს, რომ იგი შეირჩა გამჭვირვალე და ღია პროცესის საფუძველზე.
4. არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, რაც აღმოცენდება იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაცია არის ან შესაძლოა მომავალში გახდეს გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში დაფინანსების მიმღები.

შენიშვნა: თითოეული „წარმომადგენლობისთვის“ საბჭოში დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტით მხოლოდ ერთი წევრის მუშაობა.

საბჭოში გაწევრიანების მიზნით საბჭო განიხილავს იმ კანდიდატურებს, რომლებიც ამ „წარმომადგნელობების“ მიერ შეირჩევიან ღია, გამჭვირვალე და კარგად დოკუმენტირებული პროცესის საფუძველზე. განაცხადთან ერთად პირმა/ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია შერჩევის პროცესის შესახებ, სადაც ნათლად იქნება აღწერილი რა ჯგუფის სახელით იმუშავებს პირი საბჭოში.
თანდართული დოკუმენტაცია, სულ მცირე, უნდა შეიცავდეს, შერჩევის კრიტერიუმებს, წევრის სამუშაო აღწერილობას, დეტალურ სამუშაო გეგმას, სადაც მკაფიოდ იქნება განსაზღვრული „წარმომადგენლობას“ და საბჭოს შორის უწყვეტი უკუკავშირის უზრუნველყოფის მექანიზმი, წარდგენილი კანდიდატის ძირითადი დავალებები და საკომუნიკაციო ვალდებულებები „წარმომადგენლობასთან“ მიმართებაში. ნომინირებული წევრის მიერ არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში წარმომადგენლობიდან მისი სხვა წევრით ჩანაცვლების მექანიზმი,

საბჭოში გაწევრიანებისთვის უნდა შეივსოს თანდართული განაცხადი, რომელიც საბჭოს უნდა წარედგინოს ყველა მითითებულ დოკუმენტთან ერთად.
საბჭოში განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა **2024 წლის 26 აპრილი, 18:00 საათი.** მითითებული ვადის შემდეგ შემოსული განაცხადები აღარ განიხილება. საბჭოს სამდივნო უფლებამოსილია ინდივიდუალური წესით დაუკავშირდეს აპლიკანტს და მოსთხოვოს განმარტება ან დამატებითი დოკუმენტაციას მოწოდება.
ყველა შერჩეულ კანდიდატს ამტკიცებს საბჭოს მოქმედი შემადგენლობა. შერჩევის მექანიზმი (ღია კენჭისყრა, ფარული კენჭისყრა და ა.შ.) განისაზღვრება საბჭოს მიერ განაცხადების მიღების შემდეგ. შერჩევა ჩატარება საბჭოს მმართველობის სახელმძღვანელოს თანახმად დადგენილი პროცედურის შესაბამისად.
ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო იტოვებს უფლებას გაასაჯაროვოს წარმომადგენლობის მიერ შერჩევის პროცედურის ამსახველი დოკუმენტი/ები მაგ. საბჭოს ვებ-გვერზე განთავსების გზით.

განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს საბჭოს სამდივნოში შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: admin@georgia-ccm.ge

დოკუმენტაციის სრული ასლი იგზავნება საბჭოს აღმასრულებელ მდივანთან secretary@georgia-ccm.ge

გთხოვთ მიუთითოთ ელექტრონული წერილის სათაურში თუ რომელი პოზიციითს დასაკავებლად არის გამოხატული ინტერესი.

განაცხადის ფორმა მოცემულია შემდეგ ბმულზე: https://www.georgia-ccm.ge/wp-content/uploads/3-CCM-Renewal-ApplicationForm-Final-GEO3.pdf

განაცხადის ფორმა შეიცავს განაცხადთან დასართავი დოკუმენტაციის ნუსხას.